

კ ვ ა ლ ი



საქმიანი და სალიბერატორი ნახაზიანი გაზეთი, გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 34.

ავიბრუნს 15, 1893 წ.

№ 34.

შენახსი: — ღმერთო შემასწარ, ლექსი ბაჩანასი. — მოგონება აკაკისა. — ჩვენი სკოლების შესახებ ლ. ფურცლადისა. — მგობრის საფლავზედ, ლექსი ბაჩანასი — ზღვის გრივლი XX-სა. — მარგანეის (ქვა-გუნდის) ამბავი. — ჰერთა მეფე გ — ლისა. — ქებათა ქება, ლესი ვაჟა-ფშაველასი. — სიბრძნის ქვა X-ლისა. — სამკურნალო მეცნიერებისათვის წამებულნი კოტე ამირჯიბისა. — თაზო მომღერალი ბარბარე ჯორჯაძისა. — კორტოხას ლექსის ახსნა, მწეშისა. — სახუმარო გასართობი. — განცხადება.

ღმერთო შემასწარ!



ღმერთო, შემასწარ,
შემოგებეწივარ;
მოჰქროდეს ქარი,
შხუოდეს მტკვარი,
პლყაფდენ ზღვანი,
იმღერდენ მთანი.
მოსძახდენ ელნი
და ტყენი ბნელნი.

ლანდი წყარონი,
ტურფა მდელონი
იტყოდენ: „ღმერთო,
„ძლიერო, ერთო,
„მადლობა გძღვენთ:
გავიმარჯვეთო! გავიმარჯვეთო!“
1885 წ. ბაჩანა.

მ მ მ მ მ მ მ მ მარგანეის გამო

„უჭირფასესო აკაკი!



უწინ ჩამომივდა მარგანეცი პირველად აღებულნი
ორმოცდა ათი მანეთი. რადგან მარგანეის საქმე ჩვენ-
ში თავდაპირველად შენგან არის აჩუღელი და დამთავ-
რებელი, ამიტომ დამიდევნე შენს საკუთბეველზედ ნათური
შემოსავლისა, როგორც ძველად იგზლოვას სწირავდენ ყოველს
პირველს ნაშობს, პირველ ნაშკლს და პირველ ნაკრებს. აკურ-
თზე და შეიწირე მცირე ძღვენი პირველ შენაწირი, წრფელის
გულითა და სიყვარულით შენის გრთველის

დავით ბაქრაძისაგან.

26 მარტი 1893 წ.

ეს წერილი რომ მივიღე, ისეთი სიამოვნება გი-
გრძნენ, რომლის გვირგი იშვიათია ხოლმე ჩემს ცხოვ-
რებაში!... შემედარი იქნება, ვინც ამ ჩემს სიამოვ-
ნებას მიაწერს ჩემს საპირადო თავმოყვარეობას და
ან სიხარბეს!... მიზეზი სხვა არის და კიდევაც უნდა
აღვიარო აქ:

მე რომ პირველად მარგანეის საქმეს შევეუღე-
ქი, ხალხმა არა თუ არა იცოდა-რა, კიდევ იუცხო-
ვა და ყბად ამიღო. თუმცა მათ მე არასა ეთხოვდი,
მათი არა იხარჯებოდა-რა, მაგრამ მაინც კივინა და-
მცეს, თითქოს რაღაც მომაკედინებელი ცოდვის ჩა-
მდენი ყვაფილიყო!... სიტყვა რომ არ გაგრძელებდეს,
სახასიათოდ მოვიხსენებ აქ ერთ იმ დროულ წერილს,
მაშა ჩემთან მოწერილის:

„ძმომო როსტომ!

„შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ჩვენ ყველა-
ნი სიხარულით მივეგებეთ: ვგვგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყუ-
ნებდა და ჩვენი, მისიანებს, ბევრად გვარგებდა; მაგრამ მის
ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ბიჯი წაედგა,
ან „ადვიკატობით სხვებსავით მოეხვეჭა რამე, ვე დალოცვილი
მესტეტირობას გამოუღდა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა!...
ახლა კიდევ აუჩქებია რაღაც შავი-ქვა და თურმე იძისი: „ქვე

ყანა უნდა გავამდიდროო⁴ და ქვეყანას თავს ყბად აღებინებს. ხუთშაბათს მიხაილ წერეთელი იყო ჩემსას. ისიც ძალიან სწებს: რა გჭა, სიგიფ არადერნი ატყვია და ასე ახიერულად კი იტყვიან... სალომე წერეთლის: ჭალს თობილა? თუნდა სულ უძლიერა, რაც შეგი ქვა კი აქვს; მაგრამ თავის უთქვამს: თქვენის უმეტრებით ამ შემთხვევაში მე არ შემიძლია ვისარგებლო და არუნდით აუღია წელიწადში ხუთას თუნდა; ერთი წლის, მგანი, კიდევც მიუცია წინ-და-წინ... ნეტავი ფულს მაინც რათა ღუბავდა. მე კი განა ცოტა მაქვს ქვა-გუნდა? რგანისა და ღვიმევის ხროციები სულ შეგი-ქვა არ არისო? წაილს, ღმერთმა მოახშაროს და თუ შევეცილო იუდას თანა-ხიარი ვიყოო. დათია ჩიხრისხათვის უთქვამს: კიათურაში ადგილები იყიდეთ, რადგანაც იქ ერთ დროს რკინის გზა უნდა მოვიდესო და ეს კი ნამეტანიაო!... თავის ქნევიდა და შუბა-რებით დაამატა მიხაილმა.

მათთან, ჩემო როსტომ, ძალიან საკვირველი სანახავი არ იქნება ღვიმევე რკინის გზა! ადვილი იქნება, მერე კიდევ თუ ჯოჯოხთხელად გამომოაჩინა! რაღა გვიჭირს მე და შენ? შენ მაინც გეზარება ცხენზე ჯდომა და მაშინ ერთს თვალის და-ხამამებამდე შეგიძლია ჩემსა ამობარიგინო!... ემ, სასაცილოა, რომ ყველა ეს სამწუხარო არ იყოს... ეგ დალოცვილი რას მიღ-მოედება? მტრებს რაზე ახარებს? მისთანა რაშებს რათ ამბობს, რომელიც არც ღვთის არის და არც კაცის?... ეგება ხუმრავს, მაგრამ რომ აღარც ხუმრობასა ჰგავს... და ან კი რა ხუმრობას... აქ იმერეთია... მაგრე ხომ არ იტყვიან? ქვე-ყანა დასკონის, რიგი რას ამბობს და რიგი რას!... ვერსა შეე-ხედი, თვარა ვაწყინებდი სწორად... უჩიხე რაზე და თუ სა-კიროთ დაინახო ეს წერილიც გადაეცე.

შენი კოსტანტინე. *)

ის ახრი, რომელიც ამ ბარათშია გამოთქმული მარტო ერთსა და ორს ვისმე არ ეცუთენის... ამ გე-არი იყო მაშინ საზოგადო ახრი და, რასაც ვერცხელია, არა თუ მხარს არაიენ მადლიედა და მაშნვეებდა, პირ იქით ყველა ხელს მიშობდა, თუ საქმით არა, სიტყვით მაინც?... ძნელი იყო ჩემი ყოფა, მაგრამ ცა-მეტი წლის განმავლობაში, სხვადა-სხვა იმედებით გამსჯელოლს მომავალზე, საქმისათვის თავი არ და-მინებებია! დღეს, როდესაც „სასაცილოა“ შეგი-ქვის“ საქმე დიდ-საქმედ გადაიქცა და ქვეყანა სარგებლობს, ხშირად მესმის შემდეგი სიტყვეა: „რა ქნა ამ კაც-მა! საქმე მაგან დაიწყო, გაჩაღა, ქვეყანა კეთდება და თვითონ კი თავი დაიღუპა“ და სხვ. ამ მარ-თალ სიტყვებს ზოგი დაკინებთ ამბობს და უფრო მეტი კი გულმტკივნეულობით, რადგანაც არ იციან, თუ რა იყო ჩემი მიზანი და რად ჩაეები საქმეში? პირადი ანგარიში აქ არა მქონია-რა? და ოღონდ კი ის იმედები, რომლითაც მაშინ მე ცხელმძღვანე-ლობდი განხორციელებულიყო და მე მზად ვიყავი და მზათაცა ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე სიღარიბეში გამეტარებია, გინდ ხელდაშეყერილას დღიური ლუქვის

მოსაპოვებლად!... რა იყო ის მიზანი და ის მიზეზე-ბი, ამაზედ აქ საკირო არ არის ეილაპარაკოთ და მზოლოდ ერთს მათგანს მოვიხსენებთ, რომელიც თითქმის მძიმე ტვირთად მიმყევა საფლავში და რომლის გამოც საკუთრად იწყებდა დღეს ეს ჩემი მოგონება, აი რა:


ხალხური ღექსები, შირიები, ზღაპრები, თქმუ-ლობა, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რაც კი შეადვენს ზეპირ-სიტყვიერებას, საზოგადოდ ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე სა-ძირკველი მისის ისტორიისა და უწყურარი სარეც მისი წარსული ცხოვრებისა. თუ არ მომავლადეი ხალხი, ისე ამ განძზედ ხელს ვერ აიღებს ვერც ერთი სიცო-ცხლის მოსურნე ერი! საქართველოს ხანგრძლივ ცხოვრებაში ამ გვარი განძი დიდ-ძალი შეგროვებუ-ლა, მეტად მდიდარია; მაგრამ დღეს, როცა ცხოვ-რებამ პირი იბრუნა და ფერი იცვალა, ეს განძიც, ზეპირ-სიტყვიერება, მივიწყებდას იძლევა თან-და-თან. საქმე მისწრებაზეა და თუ დაეკვიანეთ ერთ თუ წელიწადს იქით ხსენებაც აღარ იქნება! ამაზედ ამ რამდენიმე წლის წინედ წერილი მქონდა დაწერილი „დროებაში“ და ზოგიერთები კდევც შეუღდენ შე-გროვებას; მაგრამ გამოდგა, რომ ამ გვარად გაკრა-გამოკერით, გზა-გზა შემთხვევით მოგროვილი მასა-ლა ზეპირ-სიტყვიერებისა, საქმეს თუ ანენებს, თორემ არას არგებს. ამისათვის საკირო არის საკუთარი, გულდაგული შრომა და მოღაწეობა.

შაგი-ქვის (მარგანეცის) საქმე, რომ ჩემდა გუ-ნებისათ წასულიყო, მაშინ მე ვაპირებდი ამ დიდე-ბულისა და დიად საქირო საქმისათვის შემედგინა საყოფი თანხა: ჩვენში ბევრი ყმაწილი-კაცთავანი ნასწავალი და მომზადებული, რომელთაც სულითა და გულით ჰსურს ჩენი ქვეყნის სამსახური; მაგრამ, რომ დღიური საზრდო იშოვა-ენ, ლუქმა-პურისათვის, ვინ იცის, სად არ არიან ვადაკარგული? იმათ რომ შრომისათვის სასყიდელი დაენიშოსთ, ისინი დიდი სიამონებით იკისრებენ ამ განძის, ესე იგი ზეპირ-სიტყვიერების შეგროვებას, სიხარულით მოედებოდენ ჩენი ქვეყნის შთა-და-ბარს და რამოდენი წლის გან-მავლობაში ჩვენც ხელში გვექმნებოდა ყოველ გე-არი მასალა ამ საწმილიშვილო განძისა. თუ რომ იმედი არ გამსუღებოდა, მე თვითონ ვეფიქრობდი ამის სისრულეში მოყვანას სხეების დაუხმარებლად; მაგრამ, როდესაც მარგანეცი, მე რომ მიწოდდა, ასე ველარ წაეიდა და მე ჩემი სურვილი-იმედები გამო-ცუდა, მაშინ ეს უკანასკნელიც ვცალად დამესო-გულზე.

*) ეს კოსტანტინე უნდა იყოს თ-დი ანაშიძე ჯოჯოხთის მემამულე. რედ.

დღეს, როდესაც ბ-ნი დავით ბაქრაძის წერილი მივიღე, იმედმა ისევ იფეთქა გულში და მეც ეს ფული ძველად დაფუძვე ამ საქმეს... იმედია, ჩვენში გამოჩნდებიან სხვებიც, რომ თანაუგრძნონ ამ საგანს (მე არ მოგახსენებთ არც მარგანეციის პატრონებზე და არც მის მწარმოებლებზე) და გამოიღონ მცირე

ოდენი შესაწირი ისე, როგორც სწორედ ხოლმე სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეს. დიდი შესაწირი აქ საჭირო არ იქნება. თვით გროზობითაც შეიძლება შეგროვდეს ის თანხა, რომელიც საჭიროა ამ საქმისათვის და დამტკიცდეს ანდაზა: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელთი იქმებოა.“
აკაკი



ჩვენი სკოლების შესახებ

(დავკვირვებულნი ვასუბი. *)



აზრით „ივერია“ ჯერ ისეც არა სწავლობდა უმაღლეს სწავლა-განათლებლასა, მაგრამ მას აქვთ რაც „ივერიის“ რედაქტორი კახეთში ბძარდობდა და იქაურ საზოგადოებასთან ჰქაზდა მსჯელობა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაზედ; ჩვენ უფრო ხშირად შეგვხვდება ხოლმე კითხვა სწავლა-განათლების წინააღმდეგ მიმართული სტატიებისა. ყველაზედ მომეტებულს ამ საგნის შესახებ სწერს ბ-ნი მეველე და გვარწმუნებს, რომ არავითარი უმაღლესი განათლება ქართველისთვის საჭირო არ არის; თუ კი სუყველანი მიწის შემუშავების მიყობით ხელსა და სწავლის საგნათუც მხოლოდ ეს გვეჩვენება. არა მკონია, რომ „ივერიას“ დეწყო ლაპარაკი, თუ დღეს სათავად-აზნაურო სკოლის დაკეტაზედ, ან დარჩენაზედ არ ყოფილიყო ორ მძლავრ პარტიას შორის ბრძოლა. თითონ ბნ მეველეს წერილებში არავის ახალს არა ვითხულობთ: ეს სტატიები არაა მხოლოდ სხვა-და-სხვა დროს, ბერძენულ უნებლიედ, შეცდომით წარმოთქმული სიტყვები ბ-ნი ილია ჭავჭავაძისა, რომლებზედაც თავმოყვარობის გამოთქმელს უარი აღარ გამოუცხადებია. დიად, ძალიან გაუტაცნია „ივერიის“ რედაქცია სათავად-აზნაურო სკოლის წინააღმდეგ ბრძოლასა; გაუტაცნია იქამდინა, რომ აღარც სათავად-აზნაურო სკოლაში და აღარც რომელსავე გვარ სწავლაში ვარდა, როგორც ზვეითაცა ვთქვით, მიწის შემუშავების სწავლისა, სარგებლობას აღარა ხედავს. თუ დღეს ბ-ნი მეველე არ იწერარებს იურიდიულ ფაქულტეტებსა და იურისტებს, (***) ხელის უძღვნის ასეთსავე სტატიებს მედიაკოსსა და ბუნებით მეტყველების ფაქულტეტებს (თუ იურისტები სიმრავლის გამო ადგილებს ველარა მოულოდენ, როგორც ბ-ნი მეველე ბძანებს, დობტურე-

ბიც ბევრნი არიან და ბუნებით მეტყველების ფაქულტეტზედ კურს დასულებულებს ხომ თითქმის არასად შესვლის განსაკუთრებულ უფლება არ ეძლევათ), მასუჯან ისტორიკობას, მატემატიკობას, ინჟინრობას და მას შემდეგ, თუ ჭაქვაეაძე სამეურნეო სწავლაზედ თავის აზრს გამოიკვლის, შეიძლება ამ უკანასკნელზედაც უარი გამოაცხადოს და მაშინ ყველანი მხოლოდ მეველეებთანა და მერუებად უნდა გაუხდეთ. — ყველა ამას იმიტრამა ხწორედ, რომ სათავად-აზნაურო სკოლას გზა უმაღლეს სასწავლებლისკენ უძევს და ამ უკანასკნელის უარის ყოფით უნდათ, რომ ჭაქვაეაძემ თავის მოწინააღმდეგეებზედ გაიპარჯოს.

„ქორი არისო, უბძანებია ბ-ნი ილია ჭავჭავაძის კახელ საზოგადოების წინ წარმოთქმულ სიტყვებში,“) ვითომ მე მინდოდეს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის დაკეტა; მაკრამ შემდეგ იმავე სიტყვაში გამოუცხადებია თავისი გულის წაღობი: „სათავად-აზნაურო სკოლა არა დაარსდა, მაკისგან დიდ სარგებლობას მოელოდნ, მაგრამ გამოაცილებამ ავგვიტყია, რომ არ მოაქვს მაგ სკოლას იმოდენა სარგებლობა და ფული ტყუილად იხარჯებოა. ამის გამო ეხლანდელი სათავად-აზნაურო სკოლა უნდა დაიკეტოს და მაგის ნაცლად ეფუძინება სამეურნეო სკოლა ვაგისნათო.“ — ამითი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე საჯაროდ ატყდა, რომ იმას მსურს სათავად-აზნაურო სკოლის დაკეტა. გახსნიან თუ არა სამეურნეო სკოლას, და ან მოიტანს მართლა ეს უკანასკნელი ახლანდელ სკოლაზედ მეტ სარგებლობას, ეგრეც ჭაქვაეაძემ ცერეც „ივერიის“ რედაქცია საფუძელიანს ევრაფერს გვეუბნებიან. იმათი ზარი ამ ცულობების შესახებ იმ ანარხისტების აზრსა ჰკავს, რომლებიც ცდილობენ სახელმწიფოს წესწყობილება მთლად ძირიანად მო. შლონ და მოშლოლის ნაცლად ახალი წესწყობილების ბლანი არა აქვთ შემუშავებული. ვაძიხიან სათავად-აზნაურო სკოლა უნდა დაიკეტოს და იმის ნაცლად უნდა ვაიხსნას სამეურნეო; მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს სამეურნეო სკოლა, რა საგნები რა ზომით უნდა ასწავლონ, როგორი სისტემა

*) ამ სტატიას დიდი სიამოვნებით ვეძებდეთ. იგი გვუთვნის ერის იმ ღრმად პატივის მკემელთაგანს თ. ილ. ჭავჭავაძისს, რომელიც ძალიან დაახლოვებულია პოეტთან და მისი გულისსახსუბი კარგათ იცის.
რედაქ.

**) იბილე „ივერია“ №-133

*) იბილე „ივერია“ №-127

უნდა იყეს სწავლისა და ან რა მზრით უნდა მოელოდეთ სარგებლობას? ეს სიტყვები უფსკრულით არიან მოკლული და ამათზედ პასუხს არაიან იძლევა. ამას გარდა აქამდის „იფრიას“ ჯერ არცერთი სამეურნეო სწავლის უპირატესობის დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენია და თავის სტატუსს ავსებს დიდის ხნის ხმარებისგან გაცვეთილ სიტყვებით. გარწმუნებთ: „იმიდ ეიქონით, სხვის შემატკერალი არ უნდა გახდეთ“ და სხვა იმგვარი სიტყვებით, რომლებითაც კარგი პედაგოგები ბავშვებსაც კი აღარ ელაპარაკებიან. მართლაც და თუ, როგორც ჭეჭეჭაძემ უბძანებია, ახლანდელი სათავად-აზნაურთა სკოლას ვერ მოაქვს ის სარგებლობა, რომელსაც იმისგან მოელოდნენ, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მომავალი სამეურნეო სკოლა კი არ გვიმტკუნებს და გაამართლებს ბ-ნი ილია ჭეჭეჭაძისა და იმის თანამოაზრეების მოლოდინს: ეს სკოლაც ხომ ჯერ არ დაარსებულა და ამისი სარგებლობა მხოლოდ სურვილი და მოლოდინია.

ახლანდელი სათავად-აზნაურთა სკოლა იმ პროგრამით არის დაარსებული, რა პროგრამითაც არიან დაარსებულნი ყველა მთავრობის გენშაზიები. ამისგანაო საზოგადოება მოელოდა და მართლაც ეს სკოლა მოსწავლეობისთვის უნდა ყოფილიყო ისეთივე სასარგებლო, როგორაინც არიან მთავრობის გენშაზიები. საჭირო იყო მხოლოდ, რომ თანაბარ პროგრამასთან თანაბარი უფლებაცაქონოდა მთავრობის გენშაზიებთან; და თუ ამ უფლების მოპოვება აქამდინ ვერ მოხერხდა, ეს ჩვენი საზოგადოების ბრალია და არა კლასიკური პროგრამებისა. რა კი აქამდინ სკოლას უფლებები არა ჰქონდა, იმას შერჩა მხოლოდ მოსამზადებელი ხასიათი, ე. ი. აქ უნდა მოეშაზებინათ შევირდები, რომ შემდეგში სხვა-და-სხვა მთავრობის სასწავლებლებში მიეზარებინათ. აქ მოსწავლეები ევახებოდნენ მრავალგვარ დაბრკოლებას. ეს სკოლა იმით დგას სხვა სასწავლებლებზედ მაღლა, რომ ამას მიზნათა აქვს აღზრდა იმ ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისა, რომლებსაც თითონ არა აქვთ იმდენი შეძლება, რომ თავის შვილებს გზა თითონვე მისცენ. ამისთანა ღარიბი მშობლების შვილები, სკოლას რო ათავებდნენ, გენშაზიებში ევახმენიაც რო დაქვიროთ, თვის ვერ ინახადნენ ქალაქში, რადგან სკოლის დასრულების შემდეგ ესპაზობადის მცირედენი შემწეობა, რომელიც სკოლისგან ეძლეოდათ ყოველ თვე ფულით; ამასთან გენშაზიაში აღარც წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები ეძლეოდათ მუქთად და სწავლის ფული კიდევ ცალკე აწეებოდათ კისრზე. ეს ნივთიერი ნაკლებეანება იყო მიზეზი, რომ ზოგნი იქრდნენ გენშაზიაში ევახმენებს და ისევ უკან გამოდიოდნენ; ზოგნი არც კი მიდიოდნენ ევახმენებზედ, რადგან დარწმუნებულნი იყენ, რომ იმათ შეძლება მთავრობის გენშაზიებში სწავლის გააძლეოების ნებას არ მისცემდა. ბერნი სკოლაშივე აიყრიდნენ ხოლმე სწავლაზედ აუღსა, რომ იცოდნენ თავის მომავალ. სკოლას რომ ბანკისგან მერე შემწეობა ჰქონოდა, შეიძლება გენშაზიებში და სხვა სასწავლებლებში გადასული შევირდებისათვისაც პატრონობა გავწია. მაშინ თვალ წინ სულ სხვა სურათი გვიდგებოდა და ესლანდელით აღარ უსაყვედურებდნენ კლასიკურ სისტემას, რომელსაც მთავრობისგან ისეთი უპირატესობა და უფლებები აქვს მიიქმეული, რომ იძულებული ვართ ყველა სხვა ნაკლებეანება და სიძველე ავიტანოთ. მაგრამ როცა კი საზოგადოება სკოლისთვის ბანკიდან მერე ფულსა თხოულობდა, ბ-ნი ილია ჭეჭეჭაძე და ბ-ნი ივანე მაჩხავლი (ბანკის მმართველები) ერთ ხმით უცხადებდნენ, რომ ბანკს ფული არა აქვსო. ამას აცხადებდნენ იმ დროს, როდესაც ბანკის ფული მარჯვნივ და მარცხნივ უხედა ზოგდებოდა.

ზოგმა მაინც კიდევ დააღწია ყველა გაჭირვებას თავი და დღეს ამ სკოლის შევირდებთანაინი ზოგნი უნივერსიტეტში არიან; ზოგნი გენშაზიაში და სხვა მთავრობის სასწავლებლებში სწავლობენ და ათავებენ კიდევ, ზოგნი კიდევ, პირ-და-პირ სკოლიდან გამოსულნი, დღეს სამსახურში არიან და თავის თავის შენახვას გარდა კიდევ გაჭირვებულ მშობლებსაც ეხმარებიან. სხვაც ბერნი რამ აკლდათ შევირდებს, მაგალითად ზმირთა იმათ სხვა-და-სხვა საგნების მასწავლებლები სრულებით არ უვარგოდათ. რო ბრძანებენ ხარჯი დიდი გვაქსო, ისიც უნდა ახლავდეთ, რა ხალხის აღზრდა აქვს დაეალებული ამ სკოლას, აქ იზრდებოდა არიბები, რომელთაც მუქთად სწავლას გარდა, კიდევ სხვა დახმარებაც ესაჭიროებათ. ხეაგან კი შეძლებულიები იზრდებიან და იმათთვის საჭირო არ არის ნივთიერი შემწეობა და სწავლის ფულსაც იხდიან თავის დროზედ. თუ მოვიყვანენ მაგალითებს იმისას, რომ გენშაზიებშიაც ზმირად სწავლის ფულს არ ახლებიებდნენ და ზოგჯერ შემწეობასაც უჩვენებენ თავის შევირდებს, იზიარათ შემთხვევები იქნება, მაშინ როდესაც სათავად-აზნაურთა სკოლაში თითქმის ყველაზედ უფრო გავრცელებული უფასოდ სწავლა და მომეტეულ ნაწილს შემწეობაც ეძლევათ.

ყველა ნაკლებეანებანი, რომლებიც კი ჩვენ აქ აღნიშნეთ და რომლებიც კიდევ მოაპოვებოან და აქ არ გვიჩვენებია, არიან იმგვარნი, რომლების მოშორებაც ჩვენზედ არის დამაკლებული: თუ ჩვენ ანუ, უკეთ რო ვთქვათ, საზოგადოება მიინდომებს, შეუძლია გასაწიროს ყოველგვარი ნაკლი: დააკმაყოფილოს ყოველ მხრივ მოწაფეები და მაშინ

ნა ენახთ, მოგეიტანს ეს სკოლა იმ სარგებლობას, რომელსაც ამისგან მოელოდნენ, თუ არა.

ყველაფერი სწორეთა ჰქონდათ გამოანგარიშებული, როცა ამ სკოლას აარსებდნენ: იცოდნენ, რა საყენებო, რა ზომით და როგორ უნდა ესწავლებინათ, იცოდნენ აგრეთვე, რა სარგებლობა შეგვეძლო მიგვეღო. ამას ყველაფერს მთავრობის გემზავნიც წაგალითი უჩვენებდა. მხროლად ის ვერ გამოიძენს წიხთვე, რომ ბ-ნი ილია ჭავჭავაძე სკოლას ასე უმიზეზოდ გადაამტკრებოდა და „იერიის“ რედაქციაც, როგორც ერთგული ყმა თავის რედაქტორისა, ჩასაქოლად ქვეს დაუშენდა.

წამაღლი სამეურნეო სკოლის საქმე ჯერ არა-ეინ იცის, არც კი იციან, როგორია სამეურნეო სკოლა უნდა: რა სადგები, რა სისტემით და რა ზომით უნდა ასწავლონ. ერთის სიტყვით თუმცა ჭავჭავაძე ოთხ კლასიან სამეურნეო სკოლას გვიჩვენებს, მაგრამ ჯერ არავის არა აქვს, ოდნავაც არის, გამორკვეული პროგრამა.. ჩვენ სამშობლოში აქამდის მეურნეობას ჯერ თავი ვერ უჩენია: ნოქონის სკოლიდან ხარჯვის მტერი არა გამოსულა რაც; წინამძღვრიანთ კარის სკოლაშიაც სანუქეშოს ბევრს ვერასა ეხედავთ. ამასგარდა ჩვენ ინტელიგენციაში ბევრნი არიან რუსეთისა და სახლვარს გარეთ სხვა-და-სხვა სამეურნეო სასწავლებლებში კურს დასრულებულები, მაგრამ ამთავაცერა გვიჩვენებს რა სასარგებლო, ვერა ვეასწავლესრა და ვეიკურავთერი თითონ თავის მამულშიც ვაკეთებს რამე ისეთი, რომ, როგორც ჭავჭავაძეს უბძანებია, „მცირე მიწიდგან, მცირე შრომით მეტი ნაყოფი მოეღო.“ (თუმცა ზოგს მათგანს თავისი საკუთარი მამულებიც ბლომათა აქეთ) და დღეს ეს მეურნეობის ისეთივე ჩინოენიკები არიან, როგორც სხვები, მუშაობაში კი შეიძლება სხვა ჩინოენიკებს კიდევაც ჩამოუვარდნენ. თუ უმაღლეს სწავლა-მიღებულმა მეურნეებმა ჩვენ მიწა-წყალთან, -- ჩვენი ცხოვრების პირობებში ვერა ვააწყეს რა, რას უნდა გახდნენ ოთხ კლასიან სამეურნეო სასწავლებლებში გაზდილი მეურნეები. ასეთი სასწავლებლის ერთი მაგალითი ხომ წინამძღვრიანთ კარის სკოლაც არის და თვალისაც ეხედავთ, რა სარგებლობაც მოაქვს. თუ უფრო მცოდნე და განვითარებულმა უმაღლეს სასწავლებლებში ნა-სწავლმა მეურნეებმა ვერა გვიჩვენებს რა ახალი და სასარგებლო, უფრო ნაკლებად განვითარებულმა და ნაკლების ცოდნის პატრონებმა რა უნდა მოახდინონ ისეთი, რომ ქვეყნა გააბედინონ? ამასთან ეინ უნდა ჰყავდეთ მოხაველ სამეურნეო სკოლაში მასწავლებლები? თუ ჩვენი უმაღლესი სწავლა მიღებული მეურნეები ეყოლებათ, ესენი ხომ იმაზედ მეტს ვერ ასწავლიან, რაც თითონ იციან და თავისი ცოდნით ისეთი არა უჩვენებიათ რა, რომ ჩვენც არ

გეცოდნოდეს და არ გვეხმაროს. ბ-ნი ილია ჭავჭავაძეს პასუხი მზათა აქვს: სახლვარ გარედგან საუკეთესო მეურნეებს მოვიყვანთო. ძალიან კარგი და პატიოსანი. ჯერ ერთი რომელ ენაზედ უნდა ელაპარაკონ ქართველ ბოეშებს უცხოელნი და მეორეც ესა, მანამ სათავად-აზნაურო სკოლის დაკეტაზედ ვერ გულმოდგინეთ იზრუნებდეთ, ერთი ის საუკეთესო მეურნეო სკოლაც, მოახერხებენ რასმე თუ არა? იქნება ჩვენში ცეტარაფერის ისინი გახდნენ. სახლვარ გარეთ სხვა მიწა-წყალი და სხვა ბუნებაა; იქაური ცხოვრება, ხალხი, წარმოების პირობები, ბაზრის მდგომარეობა და სხვა ძალიან განირჩევიან ჩვენი-სგან და რაც იქ ადვილად მოხერხდება, აქ ხშირად თითქმის შეუძლებელია. ამ საუკეთესო მეურნეობის გამოცდა, მგონა, უფრო იავად დაჯდება და ნაკლებ სახიფათოა, მანამ ერთი სკოლის გაუქმება და მეორის გახსნა.

როდესაც კი ბ-ნი ი. ჭავჭავაძეს ყველა ამაზედ მსჯელობა ჰქონია თავის სალიტერატურო საღამოებზედ, ის ყოველთვის ამასვე ამბობდა, რაც კახელ საზოგადოების წინ გამოსთქვა და როდესაც მოწინააღმდეგეებს მოჰყავდათ ცხოვრებიდან მაგალითები მეურნეობის გაზვიადებულ მიხედვის გამტკუნებისა, ჭავჭავაძესაც მოჰყავდა თავის გამოცდილებიდან არა ნაკლები შესანიშნავი მაგალითები. ეს მაგალითები შეგებოდნენ სხვა-და-სხვა სასწავლებლებში, სხვა-და-სხვა სისტემებზედ ნასწავლ მეურნეებს, რომლებიც ჭავჭავაძეს სხვა-და-სხვა დროს აუყვანია თავის მამულების გასუმჯობესებლად და ეს ნასწავლი მეურნეები თურმე არამც თუ არ ამჯობინებდნენ სოფლის წარმოების რომელსამე მხარეს, არამედ გაუმჯობესობის ღვენაში იმასაც კი აფუჭებდნენ, რასაც ჩვენი გლეხ-კაცო ყოველთვის შეუცდომლად და რიგიანად ასრულებს. აბა, რას ნიშნავენ ამ გვარი მაგალითები, ბ-ნი ილია ჭავჭავაძის პირითვე წარმოთქმულები? რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს აქედან ყოველმა სალიტერატუროს პატრონმა კაცმა, გარდა იმისა, რომ მართლა სამეურნეო სკოლები ჩვენ ბევრს არას მოგვეცემენ? განა ეს მნიშვნელობა თავისგან მოყვანილი მაგალითებისა თითონ ჭავჭავაძეს კი არ ემის? არ შეიძლება, არ ეხმოდეს, მაგრამ აქ ჭავჭავაძეს ერევა თამოყვარობა... თორემ მართლა რომ ქართველებისთვის სამეურნეო სკოლა აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდეს, მაშინ სათავად-აზნაურო სკოლის დაკეტაზედ კი აღარ ილაპარაკებდა, პირ-და-პირ სამეურნეო სკოლის გახსნას გვიჩვენებდა. ამ ორთავ სკოლების შესანახად ბანქს ახლა, მაღლობა ღმერთსა, საცამო შემოსავალი აქვს.

ლ. ჟურცელაძე.

მემორიის საულაქმედ

(სახსოვრად ანტონ შიშნიაშვილისა)

ღთებს ვადუყრით თეთრი საბანი,
თოვლიან ზამთარს სული ჰდენია.
ცივი, სვეტაკი ცეპრით ნაბანი
ტყე ჩირთის*) რთვილით დანადენია.

ჩამოგქცევია სამყოფი თავზედ,
შუა მორცევი დაგუბებულა
და მის მიდამო ირგვლივ ნაპირზედ
ნორჩი ბალახი ამწუნებულა.

ამოჩენილა ქარვა - ლუსუმა**),
ია, ენძელა თავებსა ჰხრიან;
კუბოს გარშემო, ირგვლივ ვაბმულან,
თიოვლებიან, ცრემლებსა ჰღერიაან.

შენი საწოლი, დავიწყებული,
აუცვავებულა ია - ვარდიოა.
ნუ ხარ ჯავრითა, იყავ შევებული,
თავს ნუ მოიკლავ ფუჭი დარდიოა.

ნუ შესწუხდები, შენი ჭირიმე,
საწუთროს მღურვას თავი არ მისცა;
არ დაიძნეო, თუ ხვედრმა მწარემ
შენ აღრე, მალე სამარეს მიგცა.

თოვლი ვადნება, ნამი გაქრება,
სიცხე დაპრობს მითურ ცივ წყაროს.
მიწად, მტვრად წაეა შეენიერება,
მეგრამ სახელი მოკედება არ როს.

საბრალო კია, როს კაცს კაბუტსა
ულროვოდ ხიდი ჩაუვარდება

და მისწრაფებით სასეე მუშაკსა
წუთის სოფელი გაუშედება.

ვაჰმე, რომ გრძნობის თვითმყოფელობას
ნიეთთა ვარგემ არა აქვს ხელი,
თორემ სამარის კუბოსა ქვეშე
რად უნდა ვაგაქრეს კაცის სახელი?!...

ნუ შესწუხდები, შენი ჭირიმე,
საწუთროს მღურვას თავი არ მისცა;
არ დაიძნეო, თუ ხვედრმა მწარემ
შენ აღრე, მალე სამარეს მიგცა...

ჯერ დაიცადე... მზე ჩაცხვენოს.
ცახედ პირ-ქუში მთვარე აღმობდეს;
მერცხალმა მწუხრის ჩაიჭიკიკოს
და შენს საფლავზედ ჭოტი აძრახდეს.

დაიწყოს სტენა... ბალახნი აღგენ,
ერთად მოჰბანონ ღამის მისანსა***).
მეც წამოვიდე ნიაზედ შენკენ
და ხელი ჩაცკრა სიმებზედ ჩანგსა.

დაეკრავ, დეცახებ საბრალო ხმებსა,
მთები სატირლად მოჯარდენიან;
ნაღლით აუვსებ ცას და ქვეყანას,
ცის ძალნიც ჩემთან მოფრინდებთან.

მაშინ შენ სულსა,
განქარებულსა,
და ცხარე გულსა,
დანაცრებულსა

ია-ენძელათ თვალგზში ვხედავ.

1886

ბაჩანა.

სღვის კრიგალი

ღრიგალი ზღვაშია ც არის, ისე როგორც ხმე-
ლეთზედ. მაგრამ ზღვის გრიგალი მაინც უფ-
რო საშინელი და საკვირველი მოვლენაა,
ვიდრე უბრალო ხმელეთის გრიგალი.

წარმოადგინეთ სიციხიანი დღე; ხომალდი, ან
ცეცხლის გემი, მიდის ოკეანეში. გადასა სიციხის ხეით-
ქი, ზღვას სძინავს, ჰაერი არ იწმრევა. მესამალდე-
ებმა პაპანაქებს მაოარიდეს თავი, აქეთ-იქით ჩაძე-
რენ, ოთახებში მიიშალენ. თვით ხომალდის უფროს-


მაც, ესრედ წოდებულმა კაპიტანმაც, მოისენა თავის
სადგომში (კაიუტაში); მხოლოდ-ღა ერთი მეორთა-
ყიერა, რომელიც ვერ შორდება გემს, დღას ვემის
ქერზედ დარაჯად და სწორ გზაზედ მიჰყავს გემი;
ხან პარჯენით ჰხრის გემის კუდს, ხან მარცხნითა.
ამ დროს გამოჩნდა ცახედ შავი წერტილი. ის უც-
ხად იზრდება, ვადიქცა შეფრულლათ და მოიცვა მთე-
ლი ცის სიშრეველ.

ზღვა თითქოს იღვიძებს, იმღერევა, ბლუსი, ქო-
თავს, ტალღები იზრდებთან. ერთგან ღრუბელი ჩამო-
ვშებნა უზარმაზარ სვეტად, ის ბრუნავს და თანაც წინ
მოღის. მის პრდაპირ თვითონ ზღვაც აზვირდება,

*) ჩირთი—ნორჩი, ახალი ფოთოლი განაფხულისა.

**) ლუსუმა—პირველი ყვითელი ყვივილია განაფხულისა.

***) მისანი—საიდუმლოს ამოცანობა.




ავორდება, ისიც ამოღის უზარმაზარ სვეტად და შეუერთდება ღრუბლის სვეტს. ეს უშველებელი წყალღრუბლის სვეტები ვადაობმებიან ერთმანეთზე, ვადაიხლართებიან, იწყებენ ტრიალს, ციბრუტივით, და უახლოვდებიან მიმავალს გემს, თითქმის უნდათ მისი დანთქმა. მებომალდენი გარძობენ საშიშ მღვომარეობას. შეიქნება გემზე დიდი ალიაქოთი. გემის უფროსი უსტვენს მებომალდებს. უცბათ გატენეს ზარბაზანი და უშიზნებენ იმ უზარმაზარს წყალღრუბლის სვეტსა, რომელიც თან-და-თან ტრიალით უახლოვდება გემს და ემუქერის დალუბვას. ცოტა კიდევ და გემის უფროსმა შესძახა: «აბა, ესროლეთ». იგრილა ზარბაზანმა, მოხვდა ყუმბარა უზარმაზარს წყალღრუბლის სვეტსა და შუაზე გაჰკვეთა, წყლის სვეტი დაიწვრა და ჩაეარდა ზღვაში, ღრუბლის სვეტიც ავიდა ჰაერში და გაიფანტა. გემი ვადაჩრა ხიფათს.

გრივალი ხველეთზედაც საშინელი რამ არის. ის აქც აკეთებს ასეთსავე სვეტებს მიწიდან ახვეტალ მტერისა და კენჭებისგან. ვაი, იმ ადგილს, საცა ეს მზრუნავი ჰაერი გაივლის! ის ანგრევს სახლებს, ქეთიკირის კედლებს, ეკლესიის გუმბათებს, ამოთხრის უზარმაზარს ხეებს ფსევებიანა და აიტა-

ცებს ჰაერში. 1881 წელს ბათუმში ატყდა გრივალი და ლევან მუქელიშვილის ეზოში ამოთხარა ოცდაათის წლის კაკლის ხე. 1869 წელს კოსტრომის გუბერნიაში გაიარა გრივალმა. ორ სოფელში ოცდა თექვსმეტი ზენი თივა მოიტაცა, მესამე სოფელში მთელი წისქვილი აიტანა ჰაერში, მეოთხე სოფელში სახლები დაანგრია, ერთი ქალი მოიტაცა და შორს გაუყენა ჰაერში. ტყერის გუბერნიაში 1872 წელს ამოტყდა გრივალი და ერთს ეკლესიას მთელი ქეთიკირის გუმბათი მოაძრო და შორს ისროლა, ტყეები გასჭრა და განიერი გზა გააკეთა.

რა მიზეზია გრივალის ამოვარდნისა? ზოგი მცენიერები აბრალებენ იმ გარემოებას, როცა ორნაირი მოპირდაპირე ქარი ზღვაზე, ან ხველეთზე ერთმანეთს დაეტაკება და, როგორც თითისტარი დაატრიალო, ისე დაატრიალებს ჰაერს და ეს ჰაერიც თავის მხრით ატრიალებს ღრუბელსა და წყალს, გააკეთებს უზარმაზარს წყალღრუბლის სვეტებსა, რომელთაც ვადაბამს ერთმანეთზედ. სხვანი კი ფიქრობენ, ვითომც ზღვის გრივალი ჰაერის ელექტრონის ძალისგან იყოს წარმომდგარი.

XX



მარბანდის (მა-გუნდის) აბზავი*)

მხლა მოვაქეთოთ ყურადღება ჩვენის მადნისა და სხვა ქვეყნის მადნის თვისებას. ჩვენ ძალიან მოგვაქვს თავი, რომ ჭიათურისთანა მდიდარი ლითონი ქვეყანაზედ არ მოიძენებოა. მართლაც მეტალოის მხრივ თუ შევხედავთ, ნამდვილია. ჩვენს ქვაგუნდას ას ნაწილში ორმოცდა-თუთხმეტი ნაწი-

ლი და ხან-და-ხან ორმოცდა-ჩვიდმეტეც მეტალიქვა-გუნდა ურევია. ეს ისეთი ჩინებული თვისებაა ჩვენის ქვა-გუნდისა, რომ სხვა ქვეყნებში იშვიათია ასეთი მდიდარი ქვა-გუნდა. მაგრამ რომ იტყვიან: «ეს კარგი ფონია, მაგრამ ერთ ალაგას ახრჩობსო», სწორედ ისე მოსდის ჩვენს ქვა-გუნდასაც. იმ მეტალის სიმდიდრესთან ჩვენს ქვა-გუნდას ურევია ფოსფორი ორი მეთედრი პროცენტისა და ეს თვისება ძალიან

*) იხ. «კვალი» № 36.

უკან აყენებს ჩვენს ქვა-გუნდას ლითონთა ქარხნების წარმოებაში. ინტ ამას არ ანგარიშობს, ის სწორედ უგუნური უნდა იყოს, თუ ფიქრობს, რომ ქვა-გუნდის გადატანაში ჭიათურის გზის ნილიონ-ნახევარი უნდა მოეგებინოთ.ო წელიწადში და ამიტომაც ერთი ფუტის მადნის გადატანა ორ შაურად უნდა გავებლოთ შორაპანდისსა.

აი, კიშიორი განხილვა ჯონ პეტრისონისა, ინგლისის ქალაქში ნიუექსტონში მოხდენილი, რას გვატყობინებს:

	ჭიათურა.	ჩილი, მექსიკა.
მარგანეცი-მეტალი .	550/0	550/0
ფოსფორი	0,200/0, 1,50/0	0,020/0

ამ განხილვიდან სჩანს, რომ კავკასიის, ჩილის და მექსიკოს მარგანეცებს ერთი და იგივე რაოდენობა მეტალი-მარგანეცი ჰქონებია მადანს, მაგრამ მაგივრად ჭიათურის ქვა-გუნდაში ათჯერ მეტ ფოსფორი რეულა, ვიდრე ჩილისა და მექსიკოს ქვა-გუნდაში. ამით აიხსნება, რომ 1891 წელს ჩვენს ქვა-გუნდას თუმცა კარგი ფასი ჰქონდა, მაგრამ სხვა ქვეყნების ქვა-გუნდის შედარებით იგი მაინც ნაკლებ ფასად გაყიდულა.

ჩვენი ქვა-გუნდა ფუთი გაყიდულა 33,2 ოქრო-კაპეკით, მაშინ როდესაც გერმანიას აულია თავის ქვა-გუნდაში 38,7 ოქრო-კაპეკი, ჩილის — 33,7 და სამაღეთს — 43,2 ოქრო-კაპეკი. ცხადია, რომ ჩვენს ქვა-გუნდისათვის სხვათა შორის ფოსფორის დაწვევია ფასი. როცა ასეთს ულეს გარეგნებაშია ჩამდგარი ჩვენი ქვა-გუნდის საქმე, უფრო კავკასიის რკინის გზის გაშვებამ არწმუნებს მთავრობას, რომ ორი შაურიც რომ ვინაგარიშოთ ერთი ფუთი ქვა-გუნდის გადმოტანა ჭიათურადანა და თვით კავკასიის რკინის გზაზედაც გადატანის ფასი რომ მოუშაპოთო ფოთსა და ბათუმამდის, ჩვენი ქვა-გუნდა მაინც ხუთი კაპეკით უფრო იაფად დაუჯდებათა უცხო ქვეყნელებს, ვიდრე სხვა მხრის ქვა-გუნდათა. ამ შემტ-დარ ანგარიშთან რკინის გზის გაშვებამს ისიც ჰქონდა მიეცემალია ზეი, რომ ჭიათურაში ფუთი ქვა-გუნდა ორ შაურს ზევით არ უნდა ეღირასო.

1888 წლიდან 1889 წლამდის ჩვენ თვითონ მოწამე ვართ, რომ ფუთი ქვა-გუნდა ხშირად თორამეტ კაპეკითაც იყო და რვა კაპეკს ქვევით არაოდეს არ დაწეულა. მაშინ ერთი კუმბოკრული საყენი ოც,

ოც-დაათ მანეთად ღირდა და დღეში ოც-დაათ კაცი ზედ მეტი უნდებოდა ერთი კუმბოკრულის საყენის ამოღებას, მაშინ როდესაც დღეს ორმოც-და-ათი და სამოცე კაციც ევლარ იღებს ერთს კუმბოკრულს საყენსა და სამოც მანეთ ნაკლებ აღარ ჯდება ერთი კუმბოკრულის საყენის ამოღება.

